#

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ ზაალ მამალაძეს

მუნიციპლიტეტის მერისირაკლი კუჭავას

განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საფუძველზე მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა დადგენილების პროექტი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის #32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ”.

აღნიშნული დადგენილების პროექტის შემუშავება დაკავშირებულია ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებასთან, რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან. კანონი ახლებურად აწესრიგებს საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურებას. შესაბამისად კანონის მოთხოვნები აისახა მერიის საშტატო ნუსხაში, რომლის მოქმედება გავრცელდება 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

პროექტის მიხედვით საბიუჯეტო სახსრების თავისუფალი ნაშთიდან 6.2 ათასი ლარით გაიზრდება მუნიციპალიტეტის მერიის შრომის ანაზღაურების მუხლი. ასევე შემცირდება მერიის საქონელი და მომსახურების მუხლი 299.7 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზრდება შრომის ანაზღაურების მუხლი.

პროექტის ინიციატორია მუნიციპალიტეტის მერი.

პროექტის ავტორია ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი თეა უჯმაჯურიძე და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი მაია გოგოლაძე. საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია თეა უჯმაჯურიძე.

მუნიციპალიტეტის მერი: ირაკლი კუჭავა